UBC International

იუ-ბი-სი ინთერნეშენელ
ჭავჭავაძის გამზირი № 74
0162 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (32) 222301, 933852
ფაქსი: (995) (32) 25 22 66
ელ-ფოსტა: ubc@ubc-i.com

**UBC INTERNATIONAL LTD.**
**74 Chavchavadze Avenue**
**0162 Tbilisi, Georgia**
**Tel.: (995) (32) 222301, 933852**
**Fax: (995) (32) 252266**
**E-mail: ubc@ubc-i.com**

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას
გაგარინის პირველი შესახვევი №8, თბილისი, საქართველო

ჩავატარეთ "მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის" (ორგანიზაცია) თანდართული ბუღალტრული ბალანსის ანგარიშგების აუდიტი 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრთვე მასთან დაკავშირებული საქმიანობის ანგარიშგების, ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების აუდიტი იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღისთვის. მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდით აშშ-ში საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით, აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, მოცემული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს, გამოუყენებელ გრანტებს იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და აშშ-ში საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით.

UBC International
22 ივნისი 2005 წელი

UBC International

UBCI
20494144

ეს არის ფინანსური ანგარიშგების ინგლისური ორიგინალის თარგმანი